დასახლების შექმნა და დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილება

სამართლებრივი ანალიზი

კოკა კიღურაძე



2021

შინაარსი

ანალიზის საფუძველი და მიზანი 2
საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა 2
1. ახალი დასახლების შექმნა 3
1.1. საკითხის ინიცირება და თანდართული დოკუმენტები 3
1.2. საკითხის ინიცირება ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან 4
2. დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლა 5
2.1. საკითხის ინიცირება და თანდართული დოკუმენტები 5
2.1.1. მოქალაქეებთან კონსულტაციის გამართვის წესი 6
2.2. საკითხის ინიცირება ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან 6
3. დასახლების შექმნა და დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლა - სამინისტროს ინიციატივით 7
4. ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება 7

ანალიზის საფუძველი და მიზანი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ დუაბზუს და დაბა ნასაკირალს შორის წარმოიშვა დასახლება, მისი რომელიმე დასახლებისთვის მიკუთვნებულობა დღემდე სადაოა, ხოლო აქ მცხოვრებლებს სერიოზული პრობლემა ექმნებათ როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მომსახურებების მიღების ასევე კერძო მომსახურებების მიღების თვალსაზრისით. ამ დასახლებაში მცხოვრები ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია დროულად გადაწყდეს აღნიშნული პრობლემა და ეს დასახლება ან მიეკუთვნოს რომელიმე არსებულ დასახლებას (დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილება) ან შეიქმნას ახალი დასახლება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში.
სამართლებრივი ანალიზის მიზანია, დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია დასახლების შექმნის და დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილების შესახებ არსებული სამართლებრივი პროცედურების შესახებ. ანალიზი დაეხმარება, როგორც მუნიციპალიტეტს, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგნლებს რომლებიც დაინტერესებული არიან მხარი დაუჭირონ ადგილობრივ მცხოვრებლებს ამ პრობლემის მოგვარებაში.

საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, დასახლების შექმნის და დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილების საკითხები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით:

1. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, კოდექსის მე-4 მუხლის, მიხედვით, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტი კონკრეტული პროცედურების განსაზღვრის დელეგირებას საქართველოს მთავრობაზე აკეთებს **„დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.“**

2. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №307 დადგენილება **„დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესების დამტკიცების შესახებ “**
სწორედ აღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს:

- დასახლების შექმნის/გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭების/შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესებს
- თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნის/გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭების/შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის პირობებსა და პროცედურას

ე.წ. „ახალმოსახლეებს“ აქვთ ორი შესაძლებლობა ან მოითხოვონ ახალი დასახლების შექმნა ან რომელიმე დასახლების (სოფელი დუაბზუ ან დაბა ნასაკირალი) ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილება

1. ახალი დასახლების შექმნა

1.1. საკითხის ინიცირება და თანდართული დოკუმენტები

დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის ინიციატორი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საკუთარი ან მუნიციპალიტეტის ინიციატივით.
მუნიციპალიტეტის წინაშე ინციატივა შეიძლება ასევე გამოხატოს და საკითხის ინიცირება მოახდინოს მოქალაქეთა ჯგუფმა, რომელიც წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
თუმცა მოქალაქეთა ჯგუფის მომზადებული წინადადება შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ მუნიციპალიტეტის ინიციატივის მოსამზადებლად, საქართველოს მთავრობის წინაშე საკითხის დაყენების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს!

იმ შემთხვევაში თუ მოსახლეობის სურვილი იქნება, რომ შეიქმნას სოფელ დუაბზუს და დაბა ნასაკირალისგან განცალკევებული **ახალი დასახლება** (ახალი სოფელი) დასახლების შექმნის საფუძველი შეიძლება იყოს, მხოლოდ **მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ტერიტორიაზე დასახლების შექმნისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების შესახებ ინიციატივა.**

დასახლების შექმნის თაობაზე წინადადების მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის უფლება აქვს:

- არანაკლებ საქართველოს 5 მოქალაქეს;

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს;

- მუნიციპალიტეტის მერს;

დასახლების შექმნის თაობაზე წინადადებას უნდა დაერთოს:

- დასახლების შექმნის მოტივაცია და დასაბუთება;
- ახალი დასახლების სავარაუდო სახელწოდება;
- დასახლების სავარაუდო კატეგორიის შესახებ წინადადება. (კოდექსის მიხედვით იქნება დასახლების კატეგორია - სოფელი)
- დასახლების შექმნის შემთხვევაში, არანაკლებ საქართველოს 5 მოქალაქის თანხმობა იმის შესახებ, რომ გამოხატავენ თანხმობას, დასახლებაში რეგისტრაციის თაობაზე;

აღნიშნულ წინადადება წარედგინება საკრებულოს რომელიც იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- წინადადების მოწონების შესახებ;
- წინადადების მოწონებაზე უარის თქმის შესახებ

1.2. საკითხის ინიცირება ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან

საკრებულოს მიერ წინადადების მოწონების შემთხვევაში განხილვა გრძელდება ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შექმნილი დასახლების სახელდების თაობაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასკვნის მიღების მიზნით, საკრებულო მიმართავს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას.

კომისიიდან შესაბამისი დასკვნის გაცემის შემდეგ, მუნიციპალიტეტი დასკვნას და დასახლების შექმნის თაობაზე შესაბამის შუამდგომლობას წარუდგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის წარსადგენ შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

- დასახლების შექმნის საჭიროების მოტივაცია და დასაბუთება;
- არანაკლებ საქართველოს 5 მოქალაქის წერილობითი თანხმობა იმის შესახებ, რომ დასახლების შექმნის შემთხვევაში გამოხატავენ თანხმობას დასახლებაში რეგისტრაციის თაობაზე;
- შესაქმნელი დასახლების სახელი, ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა. რუკაზე წერტილებითა და ე.წ. პოლიგონით უნდა იყოს აღწერილი დასახლების ფორმა და გავრცელების არეალი. საზღვრების გარდატეხის წერტილები, რომელთაც უნდა უნდა ახლდეს X, Y კოორდინატები WGS-84 კოორდინატთა სისტემაში
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობასა და თანდართულ დოკუმენტაციას წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

თანდართული დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო პასუხისმგებელია მხოლოდ დოკუმენტების სისრულეზე.

დასახლების შექმნის შესახებ გადაწყვეტილება, დასახლების სახელწოდებისა და კოორდინატების მითითებით, მიიღება საქართველოს მთავრობის მიერ, განკარგულების სახით.

2. დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლა

2.1. საკითხის ინიცირება და თანდართული დოკუმენტები

დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის თაობაზე წინადადების მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის უფლება აქვთ:

- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა არანაკლებ 50-კაციან საინიციატივო ჯგუფს;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს;
- დასახლების საერთო კრებას;
- მუნიციპალიტეტის მერს;

დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის თაობაზე წინადადებას უნდა დაერთოს:

- დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის მოტივაცია და დასაბუთება;
- დასახლების სახელწოდება;
- დასახლების საერთო კრების ოქმი (იმ შემთხვევაში თუ ინიციატორი კრებაა)

2.1.1. მოქალაქეებთან კონსულტაციის გამართვის წესი

მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია წინადადების განხილვამდე, შესაბამის დასახლებაში/დასახლებებში რეგისტრირებულ მოქალაქეებთან კონსულტაციის გამართვის მიზნით, საკითხი გადაუგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უშუალოდ მერი არის ინიციატივის ავტორი.

მოსახლეობასთან კონსულტაცია იმართება საჯარო განხილვის ფორმით. ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ საჯაროდ უნდა გამოცხადდეს ან გამოქვეყნდეს პრესის საშუალებით საჯარო განხილვის პროცესში შეიძლება შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრები გაიმართოს. მაცხოვრებლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში.

მუნიციპალიტეტის მერს აქვს უფლება მოიწვიოს დასახლების/დასახლებების საერთო კრება. თუ საკითხი ინიციირებულია დასახლების საერთო კრების მიერ, კონსულტაცია იმართება მხოლოდ იმ დასახლებაში/დასახლებებში, რომელსაც/რომელთაც საზღვრის ცვლილება ეხება. მუნიციპალიტეტის მერი კონსულტაციის ამსახველ დოკუმენტაციას მუნიციპალიტეტის საკრებულოს უგზავნის თხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 45 დღისა.

მუნიციპალიტეტის საკრებულო, იხილავს წარდგენილ წინადადებას და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- წინადადების მოწონების შესახებ;
- წინადადების მოწონებაზე უარის თქმის შესახებ

2.2. საკითხის ინიცირება ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან

მუნიციპალიტეტმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის წარსადგენ შუამდგომლობას უნდა დაერთოს:
- დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის საჭიროების მოტივაცია და დასაბუთება;
- იმ დასახლებაში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლის ადმინისტრაციული საზღვრებიც უნდა შეიცვალოს;

- დასახლების სახელი, ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა. რუკაზე წერტილებით და ე.წ. პოლიგონით უნდა იყოს აღწერილი დასახლების ფორმა და გავრცელების არეალი. საზღვრების გარდატეხის წერტილები, რომელთაც უნდა ახლდეს X, Y კოორდინატები, WGS-84 კოორდინატთა სისტემაში;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი;
- იმ დასახლებაში რეგისტრირებულ მოქალაქეებთან კონსულტაციების ამსახველი დოკუმენტაცია, რომლის ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლაც უნდა განხორციელდეს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობასა და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი. სამინისტრო ამოწმებს მხოლოდ დოკუმენტების სისრულეს.

დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს მთავრობის მიერ, განკარგულების სახით.

3. დასახლების შექმნა და დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლა - სამინისტროს ინიციატივით

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უფლება აქვს მთავრობის წინაშე დააყენოს საკითხი, დასახლების შექმნის და დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ. აღნიშნული ინიციატივის დაყენების პროცედურები იგივეა როგორც მუნიციპალიტეტის შეთხვევაში, იმ განსხვავებით რომ პროცესში აღარ მონაწილეობს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

4. ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება

ახალი დასახლების შექმნის ან დასახლების ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილების შესახებ მთავრობის შესაბამისი განკარგულებები, მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში ეგზავნება სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს – საქსტატს და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.